

**ამოცანები, რომლებიც 2 ბალით ფასდება**



1) რას უდრის ქვემოთ მოცემული გამოსახულების მნიშვნელობა?

$$16 - 7 + 4 - 7 + 8 =$$

- 1) ცამეტს      2) **თოთხმეტს**      3) თხუთმეტს      4) თექვსმეტს

2) ქვემოთ მოცემული ტოლობებიდან, რამდენია არასწორი?

$14 + 26 = 40$        $14 + 27 = 31$        $45 - 5 = 50$        $60 - 1 = 59$        $27 + 28 = 54$

- 1) ერთი      2) ორი      3) **სამი**      4) ოთხი


3) ქვემოთ მოცემული რომელი უტოლობაა მცდარი (არასწორი)?

- 1)  $74 > 28$       2)  **$34 > 43$**       3)  $97 > 79$       4)  $65 < 100$

4) რომელი რიცხვია ჩვიდმეტის წინა რიცხვზე ერთით ნაკლები?

- 1) თექვსმეტი      2) **თხუთმეტი**      3) ცხრამეტი      4) თვრამეტი

5) რომელი ფიგურა უნდა ეხატოს გამოტოვებულ ადგილას?



- 1) სამკუთხედი      2) ოთხკუთხედი      3) ხუთკუთხედი      4) **ექვსკუთხედი**

**ამოცანები, რომლებიც 3 ბალით ფასდება**



6) რამდენი ორნიშნა რიცხვია ერთიდან ასამდე?

- 1) **90**      2) 91      3) 99      4) 100

7) რა რიცხვი უნდა ეწეროს ცარიელ უჯრაში?

12; 21; 34; 43; 56;  ; 78; 87.

- 1) **65**      2) 56      3) 76      4) 67

8) რამდენი ოცეულია 80-ის წინა რიცხვში?

- 1) **სამი**      2) ოთხი      3) შვიდი      4) რვა

9) რას მივიღებთ, თუ გავაორმაგებთ რვისა და ცხრის ჯამს?

- 1) ჩვიდმეტს      2) ცხრამეტს      3) ოცდაოთხს      4) ოცდაათხმეტს

10) 19-ზე მეტი და 31-ზე ნაკლები რიცხვებიდან, რომლის ჩანაწერში არ არის ორიანი?

- 1) 18      2) 19      3) 22      4) 30

ამოცანები, რომლებიც 5 ბალით ფასდება



11) რამდენი ათეულით მეტია სამოცდახუთი ოცდახუთზე?

- 1) 4 ათეულით      2) 6 ათეულით      3) 40 ათეულით      4) 60 ათეულით

12) რას მივიღებთ, თუ მოცემული რიცხვებიდან: 6, 54, 79, 17, 7, შუაში მდგომს მივუმატებთ პირველი და ბოლო რიცხვების ჯამს?

- 1) 82-ს      2) 86-ს      3) 92-ს      4) 93-ს

13) რას მივიღებთ, თუ შევკრებთ ყველა ერთნიშნა რიცხვს?

- 1) 35-ს      2) 45-ს      3) 55-ს      4) 65-ს

14) რას მივიღებთ, თუ გავანახევრებთ 47-ის უახლოეს ათეულს?

- 1) 40-ს      2) 20-ს      3) 50-ს      4) 25-ს

15) რას მივიღებთ, თუ თორმეტზე მეტ და თექვსმეტზე ნაკლებ ლუწ რიცხვს გავანახევრებთ?

- 1) თოთხმეტს      2) რვას      3) შვიდს      4) ექვსს


ამოცანები, რომლებიც 7 ბალით ფასდება



16) რამდენი აკლია ორ ათეულამდე თექვსმეტის განახევრების შედეგად მიღებულ რიცხვს?

- 1) ოთხი      2) ორი      3) თორმეტი      4) თერთმეტი

17) რამდენით მეტი სამკუთხედია ნახაზზე ოთხკუთხედებთან შედარებით?



- 1) ერთით      2) ორით      3) სამით      4) ოთხით

18) ერთ კოლოფში 12 ფანქარია, მეორეში – 16. თუ ამ ორ კოლოფში არსებულ ყველა ფანქარს ოთხ ყუთში თანაბრად გავანაწილებთ, მაშინ რამდენი ფანქარი აღმოჩნდება თითოეულ ყუთში?

- 1) სამი      2) ოთხი      3) ექვსი      4) შვიდი

19) 4 კილოგრამი ხილისგან მიიღება 1 კილოგრამი ჩირი. რამდენი კილოგრამი ხილია საჭირო 12 კილოგრამი ჩირის მისაღებად?

- 1) 48 კილოგრამი      2) 36 კილოგრამი      3) 12 კილოგრამი      4) 3 კილოგრამი

**ამოცანები, რომლებიც 8 ბალით ფასდება**



20) რას მივიღებთ, თუ გავაორმაგებთ უდიდეს ერთნიშნა რიცხვს და დაგვმატებთ გაორმაგებულ უმცირეს ორნიშნა რიცხვს?

- 1) 18-ს      2) 28-ს      3) 38-ს      4) 48-ს

21) ნინოს 21 ატამი ჰქონდა, დათოს – ნინოზე 3-ით ნაკლები. დათომ თავისი ატმების ნახევარი შეჭამა. რამდენით მეტი ატამი აქვს ახლა ნინოს დათოზე?

- 1) ათით      2) თერთმეტით      3) თორმეტით      4) ცამეტით

22) დაფაზე ეწერა ყველაზე პატარა სამნიშნა რიცხვი, რომელსაც ნატომ გამოაკლო ყველაზე პატარა ორნიშნა რიცხვისა და ყველაზე დიდი ერთნიშნა რიცხვის ჯამი. რა რიცხვი მიიღო ნატომ?

- 1) 71-ს      2) 80-ს      3) 81-ს      4) 91-ს

23) მაგიდაზე დევს 8 თხილი. თითო ალებაზე მაგიდიდან უნდა აიღონ 2 თხილი. რამდენჯერ უნდა აიღონ 2 თხილი, რომ მაგიდაზე დარჩეს ერთზე ერთით მეტი თხილი?

- 1) 6-ჯერ      2) 4-ჯერ      3) 3-ჯერ      4) 2-ჯერ

**ამოცანები, რომლებიც 10 ბალით ფასდება**



24) რას მივიღებთ, თუ შევკრებთ თორმეტზე მეტ და ოცდაათხუთმეტზე ნაკლებ ყველა სამით დაბოლოებულ რიცხვს?

- 1) 56-ს      2) 59-ს      3) 66-ს      4) 69-ს

25) მერაბს აქვს წყლის შვიდლიტრიანი ჭურჭელი, რომლითაც მან წყაროდან ექვსჯერ მოიტანა წყალი. მამუკას აქვს წყლის ცამეტლიტრიანი ჭურჭელი, რომლითაც მან წყაროდან სამჯერ მოიტანა წყალი, ხოლო სანდროს აქვს წყლის ოცდაორლიტრიანი ჭურჭელი, რომლითაც მან წყაროდან ორჯერ მოიტანა წყალი. რომელმა ბიჭმა მოიტანა წყაროდან ყველაზე მეტი წყალი? (იგულისხმება, რომ ბიჭებს სავსე ჭურჭლით მოჰქონდათ წყალი).

- 1) სანდრომ      2) მამუკამ      3) მერაბმა      4) სამივემ ერთნაირი რაოდენობის წყალი მოიტანა

26) ვაჟას აქვს მხოლოდ 4 ერთლარიანი, 3 ორლარიანი და 2 ხუთლარიანი. რამდენი ლარი აკლია მას 3 შვიდლარიანი სათამაშოს საყიდლად?

- 1) 21 ლარი      2) 2 ლარი      3) 1 ლარი      4) არ დააკლდება

27) ათი ბურთი ისე გაანაწილეს ოთხ ყუთში, რომ თითოეულში სხვადასხვა რაოდენობის ბურთი აღმოჩნდა. ლევანმა აიღო ის ყუთი, რომელშიც ყველაზე მეტი ბურთი იყო. რამდენი ბურთი იყო ლევანის მიერ აღებული ყუთში?

1) ოთხი

2) ხუთი

3) ექვსი

4) შვიდი

28) დაფაზე წერია ორნიშნა რიცხვი. სანდრომ ათეულების თანრიგში მდგომ ციფრს გამოაკლო ერთეულების თანრიგში მდგომი ციფრი და მიიღო შვიდი, ხოლო, ანანომ ერთეულების თანრიგში მდგომ ციფრს მიუმატა ათეულების თანრიგში მდგომი ციფრი და მიიღო ცხრა. რომელი ორნიშნა რიცხვი წერია დაფაზე?

1) ოთხმოცდათორმეტი

2) ოცდაცხრა

3) თვრამეტი

4) ოთხმოცდაერთი

29) 6 ხიდან ატამი მოკრიფეს, თითოეული ხიდან – 4 კილოგრამი. მოკრეფილი ატმის ნაწილი ოთხ ყუთში ჩააწვეს, თითოეულში – 5 კილოგრამი. რამდენი კილოგრამი ატამი დარჩა ყუთებში ჩასაწყოში?

1) 2 კილოგრამი

2) 4 კილოგრამი

3) 6 კილოგრამი

4) 8 კილოგრამი

30) საფულეში მხოლოდ 2 ათლარიანი, 3 ხუთლარიანი და რამდენიმე ორლარიანი დევს. რამდენი ორლარიანია საფულეში, თუ ცნობილია, რომ საფულეში 43 ლარზე ნაკლები დევს და ასევე ცნობილია, რომ ათლარიანების რაოდენობა ყველაზე ცოტაა?

1) ერთი

2) ორი

3) სამი

4) ოთხი

31) ეზოში დარგული იყო 7 ხე. ვანომ უნდა დარგოს ორით მეტი ხე. მას შემდეგ რაც ვანო დარგავს ხეებს, ნოდარმა უნდა დარგოს ეზოში დარგულ ხეებზე ერთით მეტი ხე. რამდენი ხე იქნება ეზოში დარგული მას შემდეგ, რაც ნოდარი დაამთავრებს ხეების დარგვას?

1) 33 ხე

2) 26 ხე

3) 23 ხე

4) 19 ხე

32) ლალიმ 40 გაანახევრა, მიღებული კიდევ ერთხელ გაანახევრა და ამის შემდეგ მიღებულს გამოაკლო 5. ლელამ 40 გაანახევრა, მიღებულს გამოაკლო 10, ხოლო ამის შემდეგ მიღებული კიდევ ერთხელ გაანახევრა. ლილემ 40-ს გამოაკლო 10, მიღებული გაანახევრა და ამის შემდეგ მიღებულს ისევ გამოაკლო 10. რომელმა მათგანმა მიიღო ყველაზე დიდი რიცხვი?

1) ლალიმ

2) ლელამ

3) ლილემ

4) სამივემ ერთი და იგივე რიცხვი მიიღო